

ვაკანსიის N63861

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტრო

საკონკურსო მოთხოვნები სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს
დევნილებთან კოორდინაციის სამსახურის უფროსის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად

თანამდებობის დასახელება - პირველი რანგი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

პოზიციის დასახელება - დევნილებთან კოორდინაციის სამსახურის უფროსი

კონკურსის ტიპი - ღია კონკურსი

ორგანიზაცია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტრო

კატეგორია - მართვა/მენეჯმენტი

თანამდებობრივი სარგო: 1300 ლარი

ადგილების რაოდენობა 1

სამსახურის ადგილმდებარეობა - ზუგდიდი

სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი

გამოსაცდელი ვადა - 12 თვე.

ფუნქციები

სტრუქტურულ ერთეულზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების ზედამხედველობა;
შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მცხოვრებ დევნილთა მომსახურება,
მათ შორის სამართლებრივი სახის კონსულტაციების გაწევის ორგანიზება;

აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის
სტატუსის მამიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენისა და/ან
ფოტოიდენტურობის დადასტურების თაობაზე შემოსული განცხადებების შესწავლის
ზედამხედველობა/კოორდინაცია;

გუფლებამოსილების ფარგლებში სხვადასხვა შინაარსის ცნობის გაცემის ზედამხედველობა.

მოთხოვნები

მინიმალური განათლება - უმაღლესი განათლება

სამუშაო გამოცდილება - 5 წელი

ენა	წერთი უნარები	მეტყველება
ქართული	C1	C1

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება ცოდნის დონე

Microsoft Office Word ძალიან კარგი

Microsoft Office Excel ძალიან კარგი

icrosoft Office PowerPoint დამაკმაყოფილებელი

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი ბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N16 (მე- 7 სართული)

საკონტაქტო ტელეფონი 599888852;

საკონტაქტო პირი ჯულიეტა არქანია

დამატებითი მოთხოვნები

სამუშაო გამოცდილება - ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირებთან-დევნილებთან მუშაობის 5 წლიანი გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება.
ინგლისური ან/და რუსული ენის ცოდნა (B2 დონე).

1. ეფექტური კომუნიკაციისა და მოლაპარაკებების წარმართვის უნარი;
2. საჯარო დაწესებულების წარმომადგენლობის უნარი;
3. სტრატეგიული და კომპლექსური აზროვნების უნარი;
4. სტრუქტურული ერთეულისა და ინდივიდუალური ამოცანების დასახვის უნარი;
5. ცვლილებების/ სიახლეების ინიცირებისა და მართვის უნარი;
6. პროექტების მართვის უნარი;
7. თათბირებისა და შეხვედრების წარმართვის უნარი;
8. მოხელის პროფესიული განვითარების, შეფასებისა და მოტივირების უნარი;
9. გუნდის განვითარების უნარი;
10. პრობლემების გადაჭრისა და კონფლიქტების მართვის უნარი.

- კონკურსში მონაწილეობისათვის, კანდიდატი ვალდებულია განაცხადი წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით;

- კანდიდატმა ჩემი რეზიუმეს შესაბამის ველში დამატებით უნდა ატვირთოს:

ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ბ) შრომის წიგნაკის ან შრომითი ურთიერთობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (ორგანიზაცია, თანამდებობა, დანიშვნისა და გათავისუფლების თარიღების მითითებით).

გ) "რეკომენდატორების" ბლოკში არანაკლებ ერთი სარეკომენდაციო წერილი (ხელმოწერითა და ბეჭდით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში), რეკომენდატორის ტელეფონის ნომრის მითითებით), რომელშიც რეკომენდატორი მიმართავს კომისიას და აღწერს კონკურსანტის შეფასებას და მის შესაბამისობას კონკრეტული (აღნიშნული) ვაკანსიის მიმართ;

კანდიდატი ვერ გადავა ტესტირების ეტაპზე, თუ იგი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, ან არასრულყოფილად იქნება ატვირთული მითითებული დოკუმენტაცია.

კონკურსის ეტაპების შედეგების, ასევე ჩატარების ზუსტი ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ ელექტრონული ფოსტის ან/და ტელეფონის მეშვეობით.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

1. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

2. კომისია გადაწყვეტილებას იღებს განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

კონკურსის ეტაპები

- განაცხადების გადარჩევა
- გასაუბრება

საკონკურსო თემატიკა

- საქართველოს კონსტიტუცია;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 31 ივლისის N18 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.
- „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის N1 დადგენილება;
- „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მინისტრის 2021 წლის 1 თებერვლის N05-მ/ს ბრძანება;
- „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მინისტრის 2021 წლის 1 თებერვლის N06-მ/ს ბრძანება.